

სამთო ელექტრომექანიკოსი 041455  
პროფესიული სტანდარტი

### I. სფეროს აღწერა

სამთო ელექტრომექანიკოსის საქმიანობა წარმოადგენს სამთო საწარმოთა ფუნქციონირების მნიშვნელოვან ქვესისტემას. სამთო ელექტრომექანიკოსის საქმიანობა მოიცავს ყველა ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობას საბადოს გახსნისა და საწარმოს ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდში, აგრეთვე ელექტრომექანიკური დანადგარებისა და ელექტრომომარაგების სისტემის მუშაობის უწყვეტ მონიტორინგს, მუშაობის პროცესში ხარვეზების გამოვლენას, მათ აღმოფხვრას და მომსახურების სრულყოფას.

### II. დასაქმების სფერო

სამთო ელექტრომექანიკოსი არის სამთო საწარმოს პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია ელექტრომექანიკურ დანადგართა და ელმომარაგების სისტემის მონტაჟსა და სწორ ექსპლუატაციაზე, დანადაგართა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

### III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

### IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სამთო ელექტრომექანიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V). თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

სამთო ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება სამთო ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის (სამთო ელექტრომექანიკოს -თანაშემწის) პროფესიული კვალიფიკაცია.

სამთო ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება სამთო ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სამთო ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება სამთო ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. სამთო ელექტრომექანიკოსის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

სამთო ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცნობს ნახევრადგამტარულ ტექნიკასა და მადაროს /საშახტო ტრანსპორტს, როგორც ელექტრომექანიკური სისტემის ნაწილს. აცნობიერებს რა მნიშვნელობა აქვს ნახევარგამტარული ტექნიკის გამოყენებას სამთო საქმეში, ტრანსპორტის გამართულ მუშაობას. იცნობს სამთო მანქანებს, წყალამოსადვრელ, სავენტილატორო და საკომპრესორო დანადგარებს, აქვს საწყისი ცოდნა ელექტრული ამძრავის მუშაობის რეჟიმზე. გაცნობიერებული აქვს ამ დანადგართა ადგილი სამთო საქმეში, იცის რა გავლენა აქვს ელექტრული ამძრავის სწორად შერჩევას ელექტრული ენერჯის ხარჯზე.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია სტაბილურ სიტუაციაში გარკვეული დამოუკიდებლობით და სხვისი მეთვალყურეობით შეასრულოს მარტივი სამონტაჟო სამუშაოები, გამოიყენოს საჭირო მასალები, მეთოდები და ინსტრუქციები. შეუძლია შექმნილი ცოდნა და უნარი გამოიყენოს გარკვეულ სიტუაციაში; შეაფასოს ელექტრომექანიკურ დანადგართა მდგომარეობა. ამოიცნოს ელამძრავის მუშაობის გადახრა ნორმალური რეჟიმიდან.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია წარმოჩენილი პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და საჭირო სამუშაოს შესასრულებლად გარკვეული დამოუკიდებლობით გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. სხვადასხვა ელექტრომექანიკური დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს წარმოჩენილი პრობლემების გადასაჭრელად შეუძლია პრობლემის სწორად გაანალიზება და დასკვნის გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	პროფესიულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი ურთიერთობა, პროფესიული თვალსაზრისით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. შეუძლია ელექტრომექანიკური დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილ განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია გარკვეული დამოუკიდებლობით შეისწავლოს ელექტრომექანიკურ სისტემათა მუშაობის რეჟიმები. უნარი შესწევს დამოუკიდებლად შეარჩიოს საინტერესო ობიექტები, მოახდინოს მათი საერთო აღწერა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აცნობიერებს პროფესიულ ღირებულებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. ესმის ურთიერთობების მნიშვნელობა ჯგუფური მუშაობისას. იცავს ეთიკურ და ჰიგიენურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებს. მოქმედებს სამთოელთა ტრადიციებისა და ჩამოყალიბებული ღირებულებების შესაბამისად. ესმის ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა ჯგუფური მუშაობისას. იცავს ეთიკურ და ჰიგიენურ ნორმებს, უსაფრთხოების წესებს.

სამთო ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის საშახტო ამწევი დანადგარები და ბაგირგზები. იცნობს საკონტროლო, დამცავ და მართვის აპარატურას (მათ შორის მეთანის კონტროლისაც), ცენტრალურ და მიწისქვეშა ქვესადგურებს, იცის მათი მოწყობილობა; შეუძლია იზოლაციის კონტროლი; ფლობს ინფორმატიკის, მენეჯმენტისა და მეწარმეობის საფუძვლებს.
-----------------------	---	--

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ამწევი დანადგარებიდან და ელექტროტექნიკური მოწყობილობიდან გადამწოდებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეაფასოს დანადგარის მუშაობა და ნორმალური რეჟიმიდან გადახრის შემთხვევაში შეიმუშაოს მისი აღმოფხვრის გეგმა, მონახოს სათანადო საშუალებები. შეუძლია ამწევი დანადგარების სამუხრუჭო სისტემის დარეგულირება, ბაგირების ყოველდღიური შემოწმება, მათი დეფექტოსკოპია; ელექტრული ნაწილის მოწესრიგება. შეუძლია ელექტრომექანიკური დანადგარებისა და ელექტრული ქსელების მონტაჟში მონაწილეობა.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია მიღებული ინფორმაციის სწორი ანალიზი და სათანადო გადაწყვეტილების მიღება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სამთო ელექტრომექანიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	უნარი აქვს შეიძინოს დამატებითი ცოდნა პროფესიული ბიზნესის სფეროში. გაითავისოს პროფესიის თავისებურებები უსაფრთხოების სფეროში. იცნობს სპეციალობის უახლეს ნორმებს.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცავს სამთოელთა ტრადიციებს და უფრთხილდება ჩამოყალიბებულ ღირებულებებს

სამთო ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	აქვს პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. იცის ელექტრომექანიკური დანადგარებისა და მათი ცალკეული ელემენტებისადმი წაყენებული მოთხოვნები, იცნობს სამთო მანქანებში მიმდინარე დინამიკურ პროცესებს; იცნობს ძალოვან და მართვის წრეებს, მაღალი ძაბვის გამანაწილებელ მოწყობილობას. აცნობიერებს თავისი საქმიანობის მნიშვნელობას.
-----------------------	--	---

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	შეუძლია მაღალი ძაბვის დანადგარებთან მუშაობა; დაცვის ელემენტების დარეგულირება; იცნობს ინფორმაციული სისტემების გამოყენების გზებს სამთო მანქანების მართვისას. უნარი შესწევს მექანიკურ და ელექტრულ ნაწილებში უწყვეტივით აღმოჩენისა და მათი აღმოფხვრისა.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	უნარი შესწევს დაინახოს ელექტრომექანიკური დანადგარებისა და ელექტრომოწყობილობის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოიტანოს სწორი დასკვნა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია სამთო ელექტრომექანიკის წინაშე მდგარ პრობლემებზე პროფესიული მსჯელობა და სათანადო მოსაზრებების გაზიარება სპეციალისტებისათვის, მათ შორის უცხოურ ენაზეც.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია სწავლის გაგრძელებისა და კარიერული წინსვლის პერსპექტივების შეფასება და დაგეგმვა. უნარი შესწევს, გამოიყენოს მიღებული ცოდნა უახლესი მიღწევების შესასწავლად, ისარგებლოს მონაცემთა ელექტრონული ბაზებით. მოიპოვოს და მუდმივად განაახლოს სპეციალობის შესაბამისი ინფორმაცია.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობის ტრადიციებისადმი. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ითავისებს პროფესიის ინტელექტუალურ ღირებულებებს.